

ჯუზეპე გარიბალდის ხატება თავისუფლების სიმბოლოდ ორ ქართულ ნაწარმოებში (ილია ჭავჭავაძის „მესმის, მესმის!“ და ალ. ორბელიანის „სიტყვა იტალიისათვის“)

აბსტრაქტი: სტატიაში საუბარია ალ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებაზე იტალიის ეროვნული გმირის ჯუზეპე გარიბალდისადმი. ხაზგასმულია, რომ იტალიისა და საქართველოს ერთნაირი პოლიტიკური მდგომარეობის - პერობილებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირობებში ჯუზეპე გარიბალდის სახელი ამ ბრძოლის სიმბოლოდ, ლიტერატურულ ხატებად იქცა საქართველოში.

ილიას უსათაურო ლექსში არ არის მითითებული მიძღვნა, მაგრამ არსებობს დადასტურებული ფაქტები, რომ ის ჯუზეპე გარიბალდის მიეძღვნა, ხოლო ალ. ორბელიანის წერილი „სიტყვა იტალიისათვის“, ასევე არ ახსენებს იტალიის ეროვნულ გმირს, მაგრამ მიმართვა იტალიელებისადმი გულისხმობს მეთაურსაც: „იტალიელნო, მტრის გულისად არ გახდეთ ბრძოლაში, თქვენი ზურგი თქვენმა მტერმა არ ნახოს!“ მტერს ზურგს არ უჩვენებენ მამაცი მებრძოლნი მამაცი მეთაურის წინამძღოლობით.

ამდენად, აღნიშნული ორი ნაწარმოების მიხედვით ვსაუბრობთ არა პიროვნული მიძღვნის შესახებ გარიბალდისადმი, არამედ იდეის განსახოვნებაზე.

საკვანძო სიტყვები: იტალია, მიძღვნა, დამოუკიდებლობა, ხატება, გარიბალდი.

Nestan Pipia

The Image of Garibaldi as a Symbol of Liberty in Works by Ilia Chavchavadze and Alexandre Orbeliani

Abstract: The article examines Ilia Chavchavadze's and Alexandre Orbeliani's attitudes toward the national hero of Italy, Giuseppe Garibaldi. These two writers utilized Garibaldi as a symbol of the struggle for Georgian political aspirations and thus became a literary icon in Georgia.

Ilia Chavchavadze's untitled poem doesn't indicate a dedication. Still, there is evidence confirming that it was dedicated to Giuseppe Garibaldi while Alexander Orbeliani's open-letter contains a dedication, "a word for Italy" which also does not mention Giuseppe, but his commander.

Thus, according to the two works examined in this paper, we are not talking about personal dedication to Giuseppe Garibaldi, but about the man as the embodiment of an idea.

სიტყვა დაუსაბამოა, ლიტერატურა - უსაზღვრო, რადგან ხელოვნების იმ დარგის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომელშიც საგანი (თემა, იდეა) მხატვრულ განხორციელებას აღწევს, გამოხატავს ადამიანს - ადამიანურ სამყაროს. ქრონოტოპი ცვალებადია, მაგრამ არსი - უცვლელი. „ხატება“ ფრიდრიხ შილერის მეთხუთმეტე წერილში ასე განიმარტება: „ფორმისადმი მიდრეკილების საგანს თუ ზოგადი ცნებით გამოვხატავთ, ხატება ეწოდება. ეს ის ცნებაა, რომელიც მოიცავს საგანთა ყველა ფორმალურ მაჩვენებელსა და მათ ყველა მიმართებას აზროვნებასთან (ქ.ლთ I 192-2009). სულხან - საბას ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ხატოვანება“ არის „რეცა ხატოვანქმნილი და სახედადებულ არსებაი, რომელი და(3)ნიშნავს სახოვანსა სახესა... ხატოვნად (ხატოვნად za) სახელიდების, ვითარცა ხატოვანქმნილი არსებაი“ (სულხან-საბა ორბელიანი - 419. 1993).

ჯუზეპე გარიბალდის სახელს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში თავისუფლებისთვის ბრძოლის „ფორმალური მაჩვენებლის“, „ხატოვანქმნილობის“ დატვირთვა მიეცა, ლიტერატურულ სივრცეში ამის დასტურად გვაქვს ილია ჭავჭავაძის უსათაურო ლექსი „მესმის, მესმის!“ და ალექსანდრე ორბელიანის პუბლიცისტური წერილი „სიტყვა იტალიისათვის“. ეს საუკუნე საქართველოში სახელმწიფოებრიობის, სამეფო ტახტის გაუქმებით დაიწყო. 1801 წლის მანიფესტი რომ ფარისევლური დოკუმენტია ერთმორწმუნე რუსეთის „მზრუნველობისა“, ეს უამრავჯერ თქმულა. ამ მძიმე თარიღიდან მოყოლებული ეროვნული თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა. აჯანყებების სისხლში ჩახშობის, 1832 წლის შეთქმულების გაცემის შემდეგ საბრძოლო ასპარეზი სიტყვისაა. თუ რომანტიზმი სევდა - გოდებით აპროტესტებს „მოყვარე მტრის“ პოლიტიკის შედეგს, 60 - იანელები, ილიას წინამძღოლობით, სულიერი მღვიძარებისკენ მოუწოდებენ პერობილებაში მყოფ ერს. ღირსებით, პრიციპულობით, მამულისა და მისი თავისუფლებისათვის ბრძოლის დაუოკებელი ღვაწლით ასევე განსაკუთრებული სახელია ალექსანდრე ორბელიანი (ერეკლე მეორის შვილიშვილი) , მას რუსთმომპულის სახელი ჰქონდა, ამის პასუხია მისივე წერილი „რუსების დასი ქართულები ჩემზედ“, სადაც იკითხება ჯანსაღი პატრიოტიზმის ფორმულა: „საქართველოში მე რუსები არა მიყუარან - მე ისინი რუსეთში დიდად მიყუარან“. (ალ.

ორბელიანი - 49 . 1999) მას, ერეკლე მეფის შვილიშვილს, „თეკლა ბიჭად“ წოდებული თეკლა ბატონიშვილის ვაჟს, მთელი სიცოცხლე დამპყრობლების წინააღმდეგ უკომპრომისოდ მებრძოლს, აღნიშნულ წერილში გამოხატული აქვს თავისუფლების მძაფრი წყურვილი და აღტაცება იტალიელების მამაცური ბუნებით, სამშობლოს წინაშე მოვალეობის ერთგულებით: „აღზარდათ ძენი იტალიამ და ვეება ვაჟკაცები მიგცათ მამულს... თქვენის შეურყეველის ვაჟკაცობით მოელის იტალია, უთუოდ თქვენგნით განთავისუფლებას“, - წერს იგი. (ალ. ორბელიანი -153. 1999) ამ მიმართვას ორგანულად ერწყმის საკუთარი მამულის სატკივარი, ოცნება: იტალიელების ეს სულისკვეთება იხილოს თავის ქვეყანაში, ამას ევედრება „იმ დაუსაბამოს! იმ დაუსრულებელს მამას!.. და თუ ასე მოხდება, მაშინ ჩემ შვილებს ვეტყვი: ან გაწყდნენ სულ ერთიან დედებითურთ მტრებისგან, ან არადა წმიდა თავისუფლება მოიპოვონ!“ (ალ. ორბელიანი - 154. 1999) წერილი დაწერილია 1859 წელს, ამ დროს ჯუზეპე გარიბალდი წარმატებით მეთაურობდა ალპურ მსროლელთა კორპუსს. იტალიელებით აღტაცება ამ წარმატების ნაყოფია. მწერალმა კრებით სახელად, „ხატებად“, „ხატოვანებად“ აქცია იტალიელთა ეროვნული გმირის სახელი, აქ არც ვხვდებით კერძო მიმართვას, იტალიელები იბრძვიან, მეთაური გარიბალდია. ის 1860 წელს სათავეში ჩაუდგა „ათასეულის“ ლაშქრობას ნეაპოლის სამეფოში, ამავე 1860 წელს დაიწერა ილიას „მესმის, მესმის!“ რაც შეეხება მიძღვნას, ამას ლექსის სათაურსა და ლექსში არ ვხვდებით. დასტურად იმისა, რომ მიძღვნა ჯუზეპე გარიბალდის, მივიჩნევთ დეკანოზ ნიკოლოზ ნათაძის მოგონებას (წერდა „მელანიას“ ფსევდონიმით) ილიას ნაამბობიდან: „ერთ დროს, ყმაწვილობაშიო, დავაპირე ბერად შედგომაო... მაგრამ როცა გარიბალდიმ დაიწყო თავისი მოქმედებაო, ბერობა გადავიფიქრე და დავაპირე ვოლონტიორად მასთან წასვლაო. შემდეგ, როცა სტუდენტურ ცხოვრებაში გავეხვიე, ველარ შევასრულე ეს განზრახვაო“ (semioticsjournal. Wordpress.com) ამ საკითხთან დაკავშირებით, მიძღვნის უტყუარ დასტურად პავლე ინგოროყვა ღრმად მოხუცი ნიკო ნიკოლაძის მოგონებას მიიჩნევს.

ჯუზეპე გარიბალდი იყო პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციონერი, იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი და ეროვნული გმირი, გენერალი, მეტსახელად „ორი მსოფლიოს გმირი“. მ. ლაღანიძე თავის კვლევაში უთითებს, რომ გარიბალდი ხშირად იცვლიდა დამოკიდებულებას საზოგადოებრივ საკითხთა მიმართ, არც ის არის საიდუმლო, რომ იგი ღიად აღიარებდა ათეიზმს, იყო აქტიური და ქმედითი მასონი, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა

რიტუალურ მხარეს, მაგრამ სჯეროდა მასონური „პროგრესული“ გაერთიანების (semioticsjournal. Wordpress. Com).

ვფიქრობთ, ილია და მისი გარემო, გარიბალდის ქართველი თაყვანისმცემლები ნაკლებად იცნობდნენ ან არც იცნობდნენ მის ამ მხარეს. აღნიშნულ ფაქტებთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ დამყრობლის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა გამთლიანდეს ჭკუა და ხმალი. ეს დამოკიდებულება ხსირად იკვეთება ილიას ნააზრევში.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს კაბინეტში სამი პორტრეტი ეკიდა: რუსთაველის, ერეკლე მეორისა და ჯუზეპე გარიბალდის. ერის სულიერი წინამძღოლი თვლიდა, რომ იტალიის გაერთიანებისა და გათავისუფლების საქმეში „მახლობელი და განმახორციელებელი „ორი კაცი იყო: კავერუ - ჭკუა, გარიბალდი - ხმალი.

ისტორია ყველაზე უფრო აქტიური ადამიანების ბიოგრაფიებით მთლიანდება, მათი „განსახოვნება“ (ხატების შექმნა) კი ლიტერატურის საქმეა. ალექსანდრე ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის თანამედროვე საქართველოში მტრის დამმარცხებელი გმირის მოლოდინია, მაგრამ „მის ასპარეზი ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა“ (ილია). ჯუზეპე გარიბალდი „ჟამის“ შვილია, ის ზემოთ ხსენებულ ქმნილებებში მოლოდინში დაგუბებული გმირის ზოგადი სახეა. თუ გარიბალდისა და მისი თანამებრძოლების სიმართლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ხმა „ჰქუხს“ იტალიაში, ამას საქართველოში ნატრობენ ალექსანდრე ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე.

„სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს,

დასათრგუნად მონობისა...

ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი

გამაგონე ჩემს მამულში“...

(ილია ჭავჭავაძე - poetry. Ge)

ალ. ორბელიანის მიმართვას იტალიელებისადმი პოლიტიკური მანიფესტის ჟღერადობა აქვს და 1832 წელს ვერანთებული ცეცხლის ნოსტალგიაც. რუსიფიკატორული პოლიტიკით თვითმყოფადობაშელახულ ქვეყანაში, სადაც „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ასაღორძინებელია, გარიბალდის სახელით სიცოცხლისუნარიანი გახდა ცნებები „ჩვენ“, „ჩვენი ქვეყანა“. სივრცე გაარღვია სულიერმა ნათესაობამ, ამიტომაც ილიას ლექსსა და ალექსანდრე ორბელიანის მოწოდებაზე დაკვირვებით ვასკვნით:

1. მამულის აღდგომისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით, ამ თვალსაზრისით სულიერების ერთ ველზე ყოფნით ალ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და ჯუზეპე გარიბალდი არიან რუსთველისეული „შუენირნი ამხანაგნი“.

2. „მესმის, მესმის“ (ილია ჭავჭავაძე) და „სიტყვა იტალიისათვის“ (ალ. ორბელიანი) მხატვრულ პუბლიცისტური ლაკონიურობით გარიბალდის სახით ქმნის თავისუფლების ხატებას (არა პოლიტიკური მოღვაწის სახეს, არამედ ხატებას, „ხატოვანებას“).

შესაძლოა, გმირის სახელი მიზანმიმართულადაც არ შემოაქვთ, რომ ზოგადობის დატვირთვა არ ჩაიკარგოს.

ლიტერატურა:

ალ. ორბელიანი, *სიტყვა მამულის ტრაპეზზედ, შეადგინა ნინო ვახანიამ, თბ., 1999.*

ილია ჭავჭავაძე, *მესმის, მესმის*, Poetry.ge. /poets/ Ilia chavchavadze.

მერაბ ღაღანიძე, *რომის საკითხი ილია ჭავჭავაძისა და ფიოდორ ტიუტჩევის პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში*, *ქ. სემიოტიკა, 2011, 12 თებერვალი,*

<https://semioticsjournal.wordpress.com/2011/02/12>

სულხან - საბა ორბელიანი, *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. II, 1999.

ილია ჭავჭავაძე, *ლიტერატურისა და კრიტიკის შესახებ*, ქრესტომათია, *ლიტერატურის თეორია, I, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.*

ფრიდრიხ შილერი, *წერილები ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ*, *წერილი მეთხუთმეტე.*